სამხრეთ კავკასიის რეგიონი და „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა

მარიამი ჩახაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2022

აბსტრაქტი

2013 წელს ჩინეთის მიერ წამოყენებული „სარტყლისა და გზის“ ინიციატივა გლობალური ეკონომიკური ქსელის შექმნის შესახებ თანდათან უფრო და უფრო მეტი ქვეყნის ყურადღებას იქცევს, მათ შორის არიან სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებიც. საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დაინტერესებული არიან პროექტში მნიშვნელოვანი როლის შესრულებით და მიზნად ისახავენ, რეგიონზე გამავალი ეკონომიკური მარშრუტი მიმზიდველი გახადონ. თუმცა არაერთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფაქტორი არსებობს, რომელთა გადალახვის გარეშე ამ მიზნის განხორციელება რთული იქნება.

ნაშრომის მთავარი მიზანი არის, ყურადღება გაამახვილოს და აღწეროს რეგიონს შიგნით და გარეთ არსებული მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამხრეთ კავკასიის გლობალურ პროექტში ეფექტურ ჩართულობაზე. ნაშრომში გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიისა და აშშ-ის, რუსეთის პოლიტიკა პროექტთან დაკავშირებით და მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებისა და სამეცნიერო სტატიების, ვრცელი ინტერვიუს საშუალებით, გამოიკვეთა, რომ სამხრეთ კავკასიისთვის საჭიროა ინიციატივაში ჩართულობა, თუმცა ამასთან რეგიონის თითოეულ ქვეყანას მოუწევს რეგიონის სხვა მოთამაშეების პოლიტიკის გათვალისწინება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: „სარტყელი და გზა“, ჩინეთი, სამხრეთ კავკასია